

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18
2013 წლის 20 დეკემბერი

ქ. სენაკი

„სენაკის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„სენაკის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №36 დადგენილებით (www.matsne.gov.ge. 09/01/2013 სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.108.016115) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში მიღებულია ჭარბი შემოსავლები 47,750 ათ.ლარის ოდენობით. აქედან გამომდინარე, გაიზარდოს სენაკის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 47,750 ათ.ლარით და ის ადრე დამტკიცებული 11943,550 ათ.ლარის ნაცვლად განისაზღვროს 11991,300 ათასი ლარით. კერძოდ, გაიზარდოს სენაკის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობები: „მუხლი 4“ ბიუჯეტის გადასახადები 33,650 ათ.ლარით და ის ადრე დამტკიცებული 929,0 ათ. ლარის ნაცვლად განისაზღვროს 962,650 ათ.ლარით, მათ შორის: საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი 11,2 ათ.ლარით; ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი 6,1 ათ.ლარით; არასასაფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე (იურიდიული პირებიდან) 16,350 ათ.ლარით. „მუხლი 6“ სხვა შემოსავლები გაიზარდოს 14,1 ათ. ლარით და ის ადრე დამტკიცებული 957,963 ათ.ლარის ნაცვლად განისაზღვროს 943,863 ათ ლარით, მათ შორის: შემოსავლები მომსახურების გაწევიდან 3,7 ათ.ლარით; ჯარიმები, სანქციები და საურავები 5,9 ათ.ლარით; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 4,5 ათ.ლარით;

2. შესაბამისად გაზრდილ იქნეს სენაკის მუნიციპალიტეტის ასიგნებები „მუხლი 17“ 47,750 ათ.ლარით და ის ადრე დამტკიცებული 11943,550 ათ.ლარის ნაცვლად განისაზღვროს 11991,3 ათასი ლარით. კერძოდ: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ასიგნება (კოდი 01 02) 35,750 ათ.ლარით; მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ასიგნება (კოდი 06 02), მათ შორის: შეჭირვებულ და ჯანმრთელობა გაუარესებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა (კოდი 06 02 03) 12,0 ათ.ლარით.

3. შემცირდეს „მუხლი 17“ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ასიგნება (01 02) 0,050 ათ.ლარით; მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (კოდი 03 06) 5,0 ათ.ლარით; საჯარო სკოლების დაფინანსება 10,0 ათ.ლარით; სულ 15,05 ათ.ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ასიგნება (კოდი 01 01) 4,4 ათ. ლარით; საგანგებო სიტუაციების მართვის ასიგნება (კოდი 02 01) 10,650 ათ.ლარით.

4. გაიზარდოს: „მუხლი 4“ ბიუჯეტის გადასახადები 172,374 ათ.ლარით, კერძოდ, გადასახადი სასასფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე (იურიდიული პირებიდან) 108,7 ათ.ლარით; არასასაფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე (ფიზიკური პირებიდან) 63,674 ათ.ლარით; „მუხლი 6“ სხვა შემოსავლებიდან გაიზარდოს ჯარიმები, სანქციები და საურავები 54,9 ათ.ლარი, სულ 227,274 ათ.ლარით. შესაბამისად შემცირდეს „მუხლი 4“ ბიუჯეტის გადასახადები 168,1 ათ.ლარით, სასასფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე (ფიზიკური პირებიდან) 78,4 ათ.ლარით; შემოსავალი ფიზიკურ პირთა ქონებაზე(გარდა მიწისა), კერძოდ, ეკონომიკურ საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე 27,1 ათ.ლარით; არასასფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე (იურიდიული პირებიდან) 62,6 ათ.ლარით; „მუხლი 6“ სხვა შემოსავლები გაიზარდოს 59,174 ათ ლარით, მათ შორის: სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 0,5 ათ.ლარით; მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 13,0 ათ.ლარით; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 13,0 ათ.ლარით; სანებართვო მოსაკრებელი 6,2 ათ.ლარით; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 22,374 ათ.ლარით; არაფინანსური აქტივების კლება, კერძოდ, არაწარმოებული აქტივები 4,1 ათ. ლარით.

მუხლი 2



„სენაკის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №36 დადგენილებით დამტკიცებული დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე

ზურაბ ხაბურზანია

სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I

სენაკის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის პროგნოზი | | |
|--------------------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 6890,575 | 10217,481 | 5432,219 | 4785,262 | 11978,698 | 6046,085 | 5932,613 |
| გადასახადები | 1210,803 | 916,541 | 0,000 | 916,541 | 966,924 | 0,000 | 966,924 |
| გრანტები | 4904,506 | 8676,619 | 5432,219 | 3244,400 | 10039,885 | 6046,085 | 3993,800 |
| სხვა შემოსავლები | 775,266 | 624,321 | 0,000 | 624,321 | 971,889 | 0,000 | 971,889 |
| | | | | | | | |
| ხარჯები | 4183,902 | 4905,511 | 163,607 | 4741,904 | 6153,985 | 628,400 | 5525,585 |
| შრომის ანაზღაურება | 859,108 | 1242,032 | 0,000 | 1242,032 | 1884,400 | 0,000 | 1884,400 |
| საქონელი და მომსახურება | 975,784 | 775,519 | 0,000 | 775,519 | 685,487 | 0,000 | 685,487 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | |
| პროცენტი | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| სუბსიდიები | 1889,990 | 2330,678 | 0,000 | 2330,678 | 2669,640 | 73,600 | 2596,040 |
| გრანტები | 200,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 259,020 | 557,282 | 163,607 | 393,675 | 902,800 | 554,800 | 348,000 |
| სხვა ხარჯები | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 11,658 | 0,000 | 11,658 |
| | | | | | | | |
| საოპერაციო სალდო | 2706,673 | 5311,970 | 5268,612 | 43,358 | 5824,713 | 5417,685 | 407,028 |



| | | | | | | | |
|---------------------------------|----------|----------|----------|----------|----------|----------|---------|
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2899,673 | 5723,075 | 5262,219 | 460,856 | 5824,713 | 5417,685 | 407,028 |
| ზრდა | 3033,061 | 5773,719 | 5262,219 | 511,500 | 5837,315 | 5417,685 | 419,630 |
| კლება | 133,388 | 50,644 | 0,000 | 50,644 | 12,602 | 0,000 | 12,602 |
| მთლიანი სალდო | -193,000 | -411,105 | 6,393 | -417,498 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -193,000 | -411,105 | 6,393 | -417,498 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| ზრდა | 0,000 | 6,393 | 6,393 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0,000 | 6,393 | 6,393 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| კლება | 193,000 | 417,498 | 0,000 | 417,498 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 193,000 | 417,498 | | 417,498 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| ბალანსი | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 |

მუხლი 2. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის პროგნოზი | | |
|---|-----------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 7024,0 | 10268,1 | 5432,2 | 4835,9 | 11991,300 | 6046,085 | 5945,215 |
| შემოსავლები | 6890,6 | 10217,5 | 5432,2 | 4785,3 | 11978,698 | 6046,085 | 5932,613 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 133,4 | 50,6 | 0,0 | 50,6 | 12,602 | 0,000 | 12,602 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გაკლებით) | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| გადასახდელები | 7217,0 | 10679,2 | 5425,8 | 5253,4 | 11978,698 | 6046,085 | 5932,610 |
| ხარჯები | 4183,9 | 4905,5 | 163,6 | 4741,9 | 6153,985 | 628,400 | 5525,585 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 3033,1 | 5773,7 | 5262,2 | 511,5 | 5824,710 | 5417,685 | 407,025 |
| ნაშთის ცვლილება | -193,0 | -411,1 | 6,4 | -417,5 | 12,605 | 0,000 | 0,000 |



მუხლი 3. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 11978,698 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის გეგმა | | | 2013 წლის პროგნოზი | | |
|------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 6890,6 | 10217,5 | 5432,2 | 4785,3 | 11978,698 | 6046,085 | 5932,613 |
| გადასახადები | 1210,8 | 916,5 | 0,0 | 916,5 | 966,924 | 0,000 | 966,924 |
| გრანტები | 4904,5 | 8676,6 | 5432,2 | 3244,4 | 10039,885 | 6046,085 | 3993,800 |
| სხვა შემოსავლები | 775,3 | 624,3 | 0,0 | 624,3 | 971,889 | 0,000 | 971,889 |

მუხლი 4. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 966,924 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის პროგნოზი | | |
|---|-----------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 1210,8 | 863,3 | 0,0 | 916,5 | 966,924 | 0,000 | 966,924 |
| ქონების გადასახადი | 1210,8 | 863,3 | 0,0 | 916,5 | 966,924 | 0,000 | 966,924 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 652,8 | 497,7 | | 497,7 | 561,416 | | 561,416 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 20,0 | 0,0 | 0,0 | 53,3 | 9,000 | 0,000 | 9,000 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 304,4 | 231,0 | 0,0 | 231,0 | 250,3 | 0,000 | 250,3 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 233,5 | 134,6 | 0,0 | 134,6 | 146,174 | 0,000 | 146,174 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 0,2 | 0,0 | | | 0,000 | | |

მუხლი 5. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10039,885 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | 2013 წლის პროგნოზი | |
|------------|-----------------|-----------------|----------|--------------------|----------|
| | | მათ შორის | | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო | საკუთარი | სახელმწიფო | საკუთარი |
| | | | | | |



| | | სულ | ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
|---|--------|--------|--|----------------------|-----------|--|----------------------|
| გრანტები | 4934,4 | 8676,6 | 5432,2 | 3244,4 | 10039,885 | 6046,085 | 3993,800 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 4934,4 | 8676,6 | 5432,2 | 3244,4 | 10039,885 | 6046,085 | 3993,800 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 3212,4 | 3244,4 | 0,0 | 3244,4 | 3993,800 | 0,000 | 3993,800 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 3057,4 | 3059,4 | | 3059,4 | 3808,800 | | 3808,800 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 155,0 | 185,0 | | 185,0 | 185,000 | | 185,000 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 1722,0 | 5432,2 | 5432,2 | 0,0 | 6046,085 | 6046,085 | 0,000 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა, მათ შორის: | 1159,0 | 3983,7 | 3983,7 | 0,0 | 5383,78 | 5383,78 | 0,000 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სხვა თანხა | 1159,0 | 3983,7 | 3983,7 | | 5383,78 | 5383,78 | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 563,0 | 665,8 | 665,8 | | 662,305 | 662,305 | |
| საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა | 0,0 | 745,2 | 745,2 | | 0,000 | | |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო | 0,0 | 37,5 | 37,5 | | 2303,400 | 2303,400 | |

მუხლი 6. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **971,889** ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის გეგმა | | | 2013 წლის პროგნოზი | | |
|---|-----------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| სხვა შემოსავლები | 775,3 | 624,3 | 0,0 | 624,3 | 971,889 | 0,000 | 971,889 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 77,8 | 145,3 | 0,0 | 145,3 | 83,000 | 0,000 | 83,000 |
| პროცენტები | 0,0 | 0,0 | | | 0,000 | | |
| დივიდენდები | 0,0 | 20,0 | | 20,0 | 0,000 | | |
| რენტა | 77,8 | 125,3 | 0,0 | 125,3 | 83,000 | 0,000 | 83,000 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 70,7 | 116,9 | | 116,9 | 77,000 | | 77,000 |
| შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში | | | | | | | |



| | | | | | | | |
|--|--------------|--------------|------------|--------------|----------------|--------------|----------------|
| (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 7,2 | 8,4 | | 8,4 | 6,000 | | 6,000 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 284,9 | 159,5 | 0,0 | 159,5 | 48,000 | 0,000 | 48,000 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 277,5 | 151,5 | 0,0 | 151,5 | 39,300 | 0,000 | 39,300 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 4,0 | 14,3 | | 14,3 | 8,800 | | 8,800 |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0,0 | 0,0 | | 0,0 | 0,000 | | |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0,0 | 0,2 | | 0,2 | 0,000 | | |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 249,7 | 113,6 | | 113,6 | 13,500 | | 13,500 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 23,8 | 22,9 | | 22,9 | 17,000 | | 17,000 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 0,0 | 0,4 | | 0,4 | 0,000 | | |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 7,4 | 8,0 | 0,0 | 8,0 | 8,700 | 0,000 | 8,700 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 7,4 | 8,0 | | 8,0 | 8,700 | | 8,700 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 385,6 | 249,5 | | 249,5 | 818,763 | | 818,763 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 27,0 | 70,0 | | 70,0 | 22,126 | | 22,126 |

მუხლი 7. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6153,985 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის პროგნოზი | | |
|-------------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 4183,9 | 4905,5 | 163,6 | 4741,9 | 6153,985 | 628,400 | 5525,585 |
| შრომის ანაზღაურება | 859,1 | 1242,0 | 0,0 | 1242,0 | 1884,400 | 0,000 | 1884,400 |
| საქონელი და მომსახურება | 975,8 | 775,5 | 0,0 | 775,5 | 685,487 | 0,000 | 685,487 |
| სუბსიდიები | 1890,0 | 2330,7 | 0,0 | 2330,7 | 2669,640 | 73,600 | 2596,040 |
| გრანტები | 200,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 259,0 | 557,3 | 163,6 | 393,7 | 902,800 | 554,800 | 348,000 |



| | | | | | | | |
|--------------|-----|-----|-----|-----|--------|-------|--------|
| სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 11,658 | 0,000 | 11,658 |
|--------------|-----|-----|-----|-----|--------|-------|--------|

მუხლი 8. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივები, მათ შორის:

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივები, მათ შორის:

ა) განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5837,315 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

| ორგ. კოდი | დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის პროგნოზი | | |
|-----------|---|-----------------|-----------------|---|----------------------|--------------------|-----------|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 88,5 | 58,7 | 0,0 | 58,7 | 98,880 | 0,000 | 98,880 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 50,1 | 62,0 | 0,0 | 62,0 | 214,750 | 0,000 | 214,750 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2779,1 | 5368,5 | 5124,7 | 243,8 | 5505,685 | 5417,685 | 88,000 |
| 04 00 | განათლება | 37,4 | 60,0 | 0,0 | 60,0 | 5,000 | 0,000 | 5,000 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 78,0 | 0,0 | 137,5 | 87,086 | 13,000 | 0,000 | 13,000 |
| | | | | | | | | |

ბ) განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 12,602 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის პროგნოზი |
|------------------------------|-----------------|-----------------|--------------------|
| არაფინანსური აქტივების კლება | 133,4 | 50,6 | 12,602 |
| ძირითადი აქტივები | 133,4 | 50,6 | 0,0 |
| არაწარმოებული აქტივები | 0,0 | 0,0 | 12,602 |
| მიწა | 0,0 | 0,0 | 12,602 |
| სხვა ბუნებრივი აქტივები | 0,0 | 0,0 | 0,0 |

მუხლი 9. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია



განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის გეგმა | | |
|--------------------|---|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1379,5 | 1596,7 | 0,0 | 1596,7 | 2253,748 | 0,000 | 2253,748 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1141,3 | 1561,9 | 0,0 | 1561,9 | 2226,148 | 0,000 | 2226,148 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1138,8 | 1557,4 | 0,0 | 1557,4 | 2221,748 | 0,000 | 2221,748 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 2,5 | 4,5 | 0,0 | 4,5 | 4,400 | 0,000 | 4,400 |
| 7013 | საერთო დანიშნულების მომსახურება | 22,5 | 32,8 | 0,0 | 32,8 | 27,600 | 0,000 | 27,600 |
| 70133 | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება | 22,5 | 32,8 | 0,0 | 32,8 | 27,600 | 0,000 | 27,600 |
| 7017 | საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის | 200,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 15,8 | 2,0 | 0,0 | 2,0 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| 702 | თავდაცვა | 63,2 | 80,9 | 0,0 | 80,9 | 103,960 | 0,000 | 103,960 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 340,7 | 401,4 | 0,0 | 401,4 | 538,067 | 0,000 | 538,067 |
| 7031 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | 151,4 | 142,6 | 0,0 | 142,6 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 189,3 | 258,8 | 0,0 | 258,8 | 538,067 | 0,000 | 538,067 |
| 7033 | სასამართლოები და პროკურატურა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 1885,3 | 4963,4 | 4726,2 | 237,2 | 5252,835 | 5199,835 | 53,000 |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 4,7 | 20,0 | 0,0 | 20,0 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | 4,7 | 20,0 | 0,0 | 20,0 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| 7045 | ტრანსპორტი | 726,0 | 4069,5 | 4019,3 | 50,2 | 2317,730 | 2307,730 | 10,000 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 726,0 | 4069,5 | 4019,3 | 50,2 | 2317,730 | 2307,730 | 10,000 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 1154,6 | 873,9 | 706,9 | 167,1 | 2935,105 | 2892,105 | 43,000 |
| 705 | გარემოს დაცვა | 507,4 | 828,7 | 241,0 | 587,7 | 1285,050 | 665,050 | 620,000 |



| | | | | | | | | |
|-------|---|--------|--------|-------|--------|----------|---------|----------|
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 345,8 | 586,0 | 0,0 | 586,0 | 620,000 | 0,000 | 620,000 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 161,6 | 242,7 | 241,0 | 1,7 | 665,050 | 665,050 | 0,000 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 1026,8 | 269,9 | 198,6 | 71,3 | 149,600 | 107,600 | 42,000 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 67,4 | 124,2 | 120,3 | 3,9 | 68,000 | 33,000 | 35,000 |
| 7063 | წყალმომარაგება | 258,2 | 30,7 | 15,4 | 15,3 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| 7064 | გარე განათება | 696,8 | 105,0 | 62,9 | 42,0 | 74,600 | 74,600 | 0,000 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 4,4 | 10,1 | 0,0 | 10,1 | 7,000 | 0,000 | 7,000 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 93,0 | 93,0 | 0,0 | 93,0 | 94,000 | 0,000 | 94,000 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 93,0 | 93,0 | 0,0 | 93,0 | 94,000 | 0,000 | 94,000 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 943,9 | 1143,8 | 137,5 | 1006,3 | 1027,600 | 0,000 | 1027,600 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 363,4 | 545,1 | 137,5 | 407,6 | 384,600 | 0,000 | 384,600 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 509,0 | 533,4 | 0,0 | 533,4 | 560,000 | 0,000 | 560,000 |
| 7083 | ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 71,6 | 65,4 | 0,0 | 65,4 | 83,000 | 0,000 | 83,000 |
| 709 | განათლება | 690,7 | 730,2 | 0,0 | 730,2 | 790,440 | 73,600 | 716,840 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 577,1 | 650,6 | 0,0 | 650,6 | 692,440 | 73,600 | 618,840 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 41,4 | 8,2 | 0,0 | 8,2 | 27,000 | 0,000 | 27,000 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 41,4 | 8,2 | 0,0 | 8,2 | 27,000 | 0,000 | 27,000 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 72,2 | 71,4 | 0,0 | 71,4 | 71,000 | 0,000 | 71,000 |
| 710 | სოციალური დაცვა | 286,3 | 448,7 | 0,0 | 448,7 | 496,000 | 0,000 | 496,000 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 120,3 | 148,0 | 0,0 | 148,0 | 148,000 | 0,000 | 148,000 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 120,3 | 148,0 | 0,0 | 148,0 | 148,000 | 0,000 | 148,000 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 125,4 | 180,4 | 0,0 | 180,4 | 10,0 | 0,000 | 10,000 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 17,2 | 23,4 | 0,0 | 23,4 | 8,800 | 0,000 | 8,800 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 20,3 | 37,8 | 0,0 | 37,8 | 0,000 | 0,000 | |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 3,2 | 59,1 | 0,0 | 59,1 | 329,2 | 0,000 | 329,2 |



| | | | | | | | |
|-----|--------|---------|--------|--------|---------|----------|--------|
| სულ | 7217,0 | 10556,7 | 5303,3 | 5253,4 | 11991,3 | 6046,085 | 5945,2 |
|-----|--------|---------|--------|--------|---------|----------|--------|

მუხლი 10. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 0-ით.

მუხლი 11. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0-ით.
2. განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0-ით.

მუხლი 12. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0-ით.

მუხლი 13. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 4,4 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 185,0 ათასი ლარი მიიძღვრება:

- ა) 'საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ' საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 94,0 ათასი ლარი;
- ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 82,65 ათასი ლარი;
- გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 3.25 ათასი ლარი;
- დ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5.1 ათასი ლარი.

2. საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

საგანგებო სიტუაციების (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ავტოსატრანსპორტო შემთხვევები და სხვა ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის სტიქიური უბედურებები) სალიკვიდაციოდ პრევენციის მიზნით აუცილებელია სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. ხანძრის ჩაქრობის და სამაშველო ღონისძიებების ორგანიზებისას აუცილებელია პირადი შემადგენლობის ტექნიკური და პროფესიული მომზადების სრულყოფა, სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის შენობის და კომუნალური პირობების გაუმჯობესება, არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სახანძრო და მაღალგამავლობის ავტომობილის შეძენა, რაც აუცილებელია მშველების ოპერატიული მოქმედებისათვის.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის სენაკის მუნიციპალიტეტში



ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1. საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

საგანგებო სიტუაციების (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ავტოსატრანსპორტო შემთხვევები და სხვა ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის სტიქიური უბედურებები) სალიკვიდაციოდ პრევენციის მიზნით აუცილებელია სამსახურის შენობის რეაბილიტაცია და კომუნალური პირობების გაუმჯობესება, არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სახანძრო და მაღალგამავლობის ავტომობილის შეძენა, რაც აუცილებელია მასშველების ოპერატიული მოქმედებისათვის.

1.2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის სენაკის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: მუნიციპალური გზების და ხიდ-ბოგირების, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების, გარე განათების ქსელის, სკვერების, პარკების, გამწვანების ობიექტების, სანიაღვრე არხებისა და კოლექტორების რეაბილიტაცია, ჩატარდება ნაპირსამაგრი სამუშაოები, მოეწყობა სპორტული მოედნები, დაფინანსდება ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები, დამონტაჟდება ატრაქციონები.

2. 1. გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა - შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრიშება და მოსწორდება თემებში შიდა საუბნო გზები. მიმდინარე წელს დაგეგმილია: ცივის ხიდიდან სამი მიმართულებით შავი საფარის მოსაწყობა; თეკლათის თემში გამოყოფილ ტერიტორიაზე ნაგავსაყრელთან გზის დაახლოებით ბოლო 2 კმ-იანი მონაკვეთის აღდგენა; მოეწყობა ბეწვის ხიდის ბეთლემის უბანში; მოხაში-ლეთორჩინე-ლექეს უბნის დამაკავშირებელი ბეწვის ხიდი მოსაწყობა მდ.გურძემიაზე; მდ.ტეხურის ნაპირსამაგრი სამუშაოების (ასფალტის ქარხანაში); აგრეთვე, ქ.სენაკის ქუჩებზე ასფალტის საფარის დაგება: არსენას, ალ.ბერის, ს.შამათავას, აკაკი ელიავას ქუჩიდან ხუბულავას ქუჩამდე, ს.ჯანაშიას ქუჩაზე სასაფლაოს გასწვრივ მაჩაბლის ქუჩამდე, ჯანაშიას ჩიხი ყოფილი მენჯის კოსმონავტის ქუჩიდან სასაფლაოს გასწვრივ, ჯანაშიას ქუჩიდან სასაფლაომდე, კანკიას ქუჩაზე საკანდარიშვილოს ახალ სასაფლაომდე, ჩიქოვანის, დემურიას, მედეას, გორის, ურიდიას, ლესელიძის, კ.გამსახურდიას, დავით აღმაშენებლის ქუჩის პირველი შესახვევის, შარტავას, გრიგოლიას, ვაჟა-ფშაველას, თბილისის, ძმები კანკავების, ჭავჭავაძის ქუჩა აღმაშენებლის ქუჩიდან სახანძრომდე, გორგასლის ქუჩა აღმაშენებლის ქუჩამდე, დედის ქუჩა მშვიდობის ქუჩიდან რუსიას ქუჩამდე, თაბუკაშვილის, ბენდელიანის, ლევან დადიანის, ლერმონტოვის, ტეხურის, ცხვიტავას, კაშიბაძის, კვირაიას ქუჩის გაგრძელება, მაჩაბელის, ქურდოვანიძის ქუჩიდან #91 მრავალბინიან სახლამდე, ნაფეტვარიძის ქუჩა პირველი ჩიხი.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და განხორციელდება უმეტესაღმრთოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია.

2.2.1. კეთილმოწყობის, დასუფთავების და გამწვანების მოვლა-პატრონობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, როგორც საცხოვრებელი სახლების ეზოებიდან ასევე ქალაქის სხვა ტერიტორიიდან. აგრეთვე გათვალისწინებულია ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების აღდგენა, სკვერების პარკებისა და გამწვანების ობიექტების რეაბილიტაცია. შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება და სხვა ღონისძიებები.



2.2.2. უმეტესადსაფრთხილო დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

2.2.3 ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სენაკი, ჭავჭავაძის ქუჩა #31-ში მდებარე ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის, ხის კონსტრუქციის და ასევე, მოთუთიებელი თუნუქის ტალოვანი ფურცლების აღდგენა; აგრეთვე, მ/წლის 16 აპრილს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული: ძველი სენაკის თემის ადმინისტრაციული შენობის ორი ფანჯარის და ზანის სამმართველოს ზანის განყოფილების ჭერის, კედლების და ლამინირებული იატაკის აღდგენა; რვასართულიანი საცხოვრებელ სახლებში ლიფტების მოწყობის სამუშაოები;

2.2.4 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ხორციელდება ქალაქ სენაკის ქუჩების ელ.განათება, კერძოდ, ცოტნე დადიანის, უნივერსიტეტის, კოსტავას, ყაზბეგის, თეფანიას, ვაჰანიას, ტაბიძის, სტალინის, რაკვერეს, ჭონქაძის, ჯეჯელავას, კეცხოველის, ფოთის, ვახტანგ მეფის, ქუთაისის, ვარლამ ჯანაშიას, კაჭარავას, სანაიას, ქურდოვანიძის ქუჩებზე.

2.2.5 წყალსანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მდ.ტეხურის ნაპირსამაგრი სამუშაოები (ასფალტის ქარხანაში); მდ.რიონის მარჯვენა სანაპიროს ნაპირსამაგრი სამუშაოები;

2.3. ვეტერინარიის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში აუცილებლობის შემთხვევაში მოხდება ცხოველებზე ჯილხის საწინააღმდეგო აცრების ჩატარებაზე ხელშეწყობა.

2.4. სენაკის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების გადასასვლელებისა და ფეხით მოსიარულეთათვის ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

2.5. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარდგენილი პრიორიტეტების გათვალისწინებით სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, კერძოდ: გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას; სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემების აღდგენას; სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობას; სასაფლაოების შემოღობვას; საბავშვო ბაღების რეაბილიტაციას; გარე განათების; სპორტული მიწის და საბავშვო მოედნების მოწყობას და სხვა სამუშაოებს.

2.6. სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ მიმდინარე წლის ივნისი-ივლისის თვეებში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილი სახსრებით: გზების (ასფალტობეტონის საფარის) აღდგენის სამუშაოებს; ხიდების აღდგენას; საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემების

(არხის ამოწმენდა) რეაბილიტაციას; ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენას; სხვა შენობა-ნაგებობების (ჯებირი) აღდგენას და რეაბილიტაციას. მოხდება სტიქიის შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია.



3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სულიერ განვითარებას ხელ უწყობს ა(ა).ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“, რომელიც ფინანსდება სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

3.1. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 23 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 996 ბავშვი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელთა მომსახურებისთვის მშობელთა ყოველთვიური შენატანი ერთ ბავშვზე გაუქმდა 2013 წლის 1 სექტემბრიდან. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ასევე ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ბაღებს კოორდინაციას უწევს ა(ა).ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება“.

3.2. საჯარო სკოლების პედაგოგებზე და მოსწავლეებზე დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ქალაქიდან თემში და თემიდან ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მასწავლებელთა სუბსიდირება. ამასთან, მოსწავლეები რომლებიც შორს ცხოვრობენ სკოლიდან სარგებლობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით უფასოდ.

3.3. მოსწავლე-ახალგაზრდობის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების და მასობრივი მუშაობის საინფორმაციო მეთოდური უზრუნველყოფა, ტარდება სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციები, სხვადასხვა სახის რესპუბლიკური შეკრებები, ნორჩ ფოლკლორისტთა, ენის მოყვარულთა, შემოქმედთა, ტექნიკური ცოდნის მიდრეკილთა და მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოსავლენად და მათი ტექნიკური ცოდნის ასამაღლებლად დანერგილია კომპიუტერის სწავლების ჯგუფები. მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ მათემატიკური, კომპიუტერული ტექნიკის სასწავლო შეკრებებში. ფუნქციონირებს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების სწავლების ჯგუფები, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო სკოლებში შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენას, ხელს უწყობს მოსწავლეებში რედაქტორობის პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას. თავის ირგვლივ იკრებს ჟურნალისტიკით, საგაზეთო, საგამომცემლო საქმით დაინტერესებულ მოსწავლეებს. ტარდება შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, პოეზიის საღამოები, ნორჩ შემოქმედთა შეკრებები. მოსწავლეთა ესტეტიკური აღზრდის მიზნით ტარდება ქორეოგრაფიული და ლიტერატურული ხელოვნების ფესტივალები, საქველმოქმედო საქმიანობა. ფასიან ჯგუფებში მშობელთა შენატანი ქართული და სამეჯლისო ცეკვების, ხალხური და საესტრადო სიმღერების შესასწავლად ყოველთვიურად ერთ ბავშვზე შეადგენს 15 ლარს, კომპიუტერული სწავლების ჯგუფში სამთვიანი კურსისთვის კი ერთ მოსწავლეზე 60 ლარს. მოსწავლეთა რაოდენობა სულ შეადგენს 249 აღსაზრდელს.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სენაკის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეუწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მის ღირსეულ გაგრძელებას. ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

1. სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში სპორტის ხელშეწყობის კუთხით ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა სახეობების 10 სექცია, მათ შორის: ძიუდო (1 სექცია) 20 ბავშვზე; კრივი (3 სექცია) 35 ბავშვზე; კარატე (1სექცია) 22 ბავშვზე; ჭადრაკი (2 სექცია) 16 ბავშვზე; ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (3 სექცია) 70 ბავშვზე; რაგბი (2 სექცია) 80 ბავშვზე; რაგბის ლიგა (1 სექცია) 25 ბავშვზე; კალათბურთი (4 სექცია) 63 ბავშვზე; სპორტულ-გამაჯანსაღებელი (1 სექცია) 20 ბავშვზე; მოქმედი სპორტსმენები 28. წლის განმავლობაში ეწყობა შობისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭადრაკში, ნათლისღებისადმი მიძღვნილი ბლიც-ტურნირი ჭადრაკში, ი.ნარმანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი რეგიონალური ტურნირი ძიუდოში, მუნიციპალიტეტის პირველობა სკოლებს შორის, შესარჩევი პირველობა ჭადრაკში 10 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, 9 აპრილისადმი მიძღვნილი რაიონული პირველობა კალათბურთში, ნ.ჯანჯღავას ხსოვნის ტურნირი ჭადრაკში, 26 მაისისადმი მიძღვნილი რაიონული პირველობები სკოლებს შორის, ფინალური შეხვედრა ფეხბურთში, ზაზა ფაჩულიას სახელობის ფესტივალი (სენაკში მოწვეული გუნდები), სენაკის მუნიციპალიტეტის პირველობა სკოლებს შორის მძლეოსნობაში, თ.სანიკიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი რაგბში, რეგიონალური პირველობა (სკოლის ასაკი) კარატეში, რეგიონალური პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, კ.ჯოჯუას, შ.მორჩილაძის და ა.მურღულიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, შ.ჩიქობავას სახელობის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭადრაკში, რეგიონალური ფესტივალი ლელო ბურთში, კ.ნარმანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი კალათბურთში;

4.1.2. ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ერთი გოგონათა და ხუთი ვაჟთა გუნდი. სულ დღეის მდგომარეობით, არის 108 სპორტსმენი. მათ შორის: ოთხი გუნდი მონაწილეობს სამეგრელოს რეგიონის ჭაბუკთა ჩემპიონატში, ხოლო ერთი გუნდი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ლიგის გათამაშებაში. მთავარ საქმიანობას წარმოადგენს მოსწავლეების (სპორტსმენების), აგრეთვე სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკებისა და გოგონების მზადება, ხორციელდება წლიური საწვრთნელი პროცესების ორგანიზება და როგორც საქართველოს საფეხბურთო ნაკრების, ასევე უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის რეზერვების მომზადების კუთხით. პროგრამა ხელს უწყობს ახალგაზრდა ფეხბურთელების დაოსტატებას. ფუნქციონირებს: ფეხბურთის 5 სექცია 62 ბავშვზე; ფეხბურთი II ლიგა 28 ბავშვზე.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1. კულტურული ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა).ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ სუბსიდიური დაფინანსება, რომელიც ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის განვითარებას, თანამშრომლობს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან, ცალკეულ ხელოვანებთან, სხვადასხვა დარგის დამსახურებულ მოღვაწეებთან, ატარებს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში. აწყობს სახვითი დეკორატიული-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენას. ა(ა).ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების, მუზეუმების და კულტურის სახლების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 16 ბიბლიოთეკა, 1 ცენტრალური, 14 სათემო და 1 საბავშვო ბიბლიოთეკა. წლის განმავლობაში ბიბლიოთეკები ემსახურება 15 ათასამდე მკითხველს, მათ შორის 1-9 კლასის 3 ათასამდე მოსწავლეს. კოორდინაციას უწევს ქ.შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, თ.დავითაიას სახელობის მუზეუმს, არნოლდ ჩიქობავას მუზეუმს. სამუზეუმო კოლექციებში ძირითადად დაცულია მათი ცხოვრების ამსახველი ფოტომასალები და პირადი ნივთები. აგრეთვე, კულტურის სახლის საქმიანობას წარმართავს სპეციალისტები და კოორდინატორები, რომლებიც ქალაქში და თემში აწარმოებენ კულტურულ და მასობრივ ღონისძიებებს, აგროვებენ ფოლკლორის ნიმუშებს და ახდენენ მის პოპულარიზაციას.



4.2.2. სამუსიკო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 03)

